

წინამდებარე დოკუმენტი დამტკიცებულია
ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ
2019 წლის 3 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე; ოქმი N08



**შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მართვის
ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა**

მუხლი 1.

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის (შემდგომში სასწავლებელი) მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემას.

მუხლი 2.

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მიზანია სასწავლებელში დაინერგოს მართვის გამჭირვალე და ეფექტური სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლებელის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას.

მუხლი 3.

1. სასწავლებელის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგსა და შეფასებას ახდენს სასწავლებელის გენერალური დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში სამუშაო ჯგუფი).

სამუშაო ჯგუფში შედიან: სასწავლებელის გენერალური დირექტორის, რექტორი, პროექტორი, სტუდენტთა, მსმნელეთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილების უფროსი, საფინანსო განყოფილების უფროსი, და გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სხვა პირები;

მუხლი 4.

მართვის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ეფუძნება შემდეგ ოთხ ციკლს:

- ა) მიმდინარე პროცესის ანალიზი;
- ბ) რეკომენდაციების შემუშავება პროცესის დახვეწასთან დაკავშირებით;
- გ) ბიზნეს პროცესების დამტკიცება, ახალი დოკუმენტების შექმნა, დანერგვა;
- დ) სასწავლებელის თანამშრომელებისა და დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.

მუხლი 5.

მიმდინარე პროცესის ანალიზი მოიცავს:

- ა) სასწავლებლის საქმიანობის დოკუმენტაციის შესწავლას;
- ბ) სასწავლებლის თანამშრომლების სამუშაო აღწერილობების გადახედვას;
- გ) სასწავლებელში მიმდინარე ბიზნეს პროცესების აღწერას;
- დ) სასწავლებლის თანამშრომლების გამოკითხვას;
- ე) სტუდენტების გამოკითხვას;
- ვ) მოწვეული და აკადემიური პერსონალის გამოკითხვას;
- ზ) სამუშაო შეხვედრების ჩატარებას ფოკუს ჯგუფებთან (თანამშრომლები, ლექტორები, სტუდენტები)

მუხლი 6.

სამუშაო ჯგუფი არსებული ინფორმაციებისა და ჩატარებული შეხვედრების მიხედვით შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროცესების დახვეწასთან დაკავშირებით.

მუხლი 7.

წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი მოამზადებს დოკუმენტებს, მათ შორის ბიზნეს პროცესების აღწერას. აღნიშნული დოკუმენტები დამტკიცდება სასწავლებელში დადგენილი წესის შესაბამისად. სასწავლებლის გენერალური დირექტორის დავალებით დაიწყება მიღებული პროცედურების სასწავლებლის საქმიანობაში დანერგვა.

მუხლი 8.

სამუშაო ჯგუფი სასწავლებლის თანამშრომლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს გააცნობს შესაბამის დოკუმენტაციას, რისთვისაც ჩატარდება შეხვედრები, გამოყენებულ იქნება ელექტრონული ფოსტა და ვებ-გვერდი კომუნიკაციისთვის.

მუხლი 9.

ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ციკლი მოიცავს ექვსთვიან პერიოდს, ხოლო ამ წესის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული ციკლი - თითო-თითო თვეს.

მუხლი 10.

წესის დანერგვა დაიწყება 2019 წლის ივლისში და განხორციელდება ციკლის დასრულებიდან ორ წელიწადში ერთხელ.